

# შინაური საქმეები



კვირა, 2 მაისი, 1910 წ.

ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

**შინაური:** ქრისტე აღსდგა! (სოლოვიოვიდგან).—მღვდ. ნ. კანდელაკისა; დროს ფასი.—მღ. ი. ლუკიანოვისა; გაზაფხული (ლექსი).—ო. მწირისა; ალლა-ვერდი იაკში-ოლ. (თარგმანი).—კ მ-სა; ქრისტე აღსდგა (ლექსი).—რ. საჯავახელისა; წერილი

ფოთიდან.—ლუტასი; ვაი საწყალი მღვდლის ბრალი—სასულიეროსი; დია წერილი ყოველად სამღვდელთა დაეითხადში.—დიმიტრას მამიდაშვილისა; თბილისის სამღვდელთა საყურადღებოდ.—სამღვდლოების ერთგულისა; კვირიდან კვირამდე.

**ყოველკვირეული გაზეთი**  
**„შინაური საქმეები“**

ხელის მოწერა მიადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 10 კ. გაზეთი ღებულობს დანაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

## ქრისტე აღსდგა!

(ელ. სოლოვიოვიდგან)

შირეული სრული გამარჯვება სიცოცხლის საკვდილზე, განუწვევებელი თმი მათ შორის—ცხოველ სკლას და მკვდარ ნივთიერების შორის, —შეადგენს არსებითად მთელ ისტორიას ქვეყნის შექმნასა. თუმცა ქრისტეს აღდგომამდე ბევრ გზით მოხდა გამარჯვება სიცოცხლისა, მაგრამ ეს გამარჯვება არ იყო სრული და კარდამწვევები, —იყო მხოლოდ სანახევრო და უოველ გამარჯვების შემდეგ მტერი, როგორც ეტუობს, ახერხებდა თავის ნამდვილ ბატონობის დასაფარებას და განმტკიცებას გამარჯვებულ სიცოცხლის ახალ ფორმებზე. მართლაც რა დიდი

იყო, როგორც სწახს, გამარჯვება სიცოცხლის როდესაც კვდურ და უსულთ ნივთიერებებთან დაიძინენ და წარმოიშენენ უთვალავი ცოცხალი არსებანი, შირეული ჩანსახა მცენარეულობის და ცხოველების სამეფოსა. მევდარ ელემენტებს ეძლევათ ცხოველი ძალა, რომელიც ჰქმნის მათ მასალად თავის ფორმისათვის და გამოსადეგ საშვადებლად თავის ორგანიულ მიზნისათვის. მერმე რა სოცერო სიმდიდრეა ახალ-ახალ ფორმების, რა მახვილ-გონიერება და გაბედულობაა მცენარე და ცხოველების სამეფოსა გონიერულ მოწეობა-შენობაში! მაგრამ სიკადალი დასცინის უოველივე ამ დიდმშენიერებას: ის ნამდვილი მოედენაა მშენიერი ხატება და ნიშანი მას ვერ ხიბლავს, წინასწარ გრძნობა და წინასწარმეტყველება მას ვერ აფერხებს. იმან იცის, რომ ბუნების სიმშენიერე მხოლოდ ფერადი და სმეტაკი გადასახურავა ნაწილებად კახუწვევტილთ დასახსნულ ლეშისა. მაგრამ ბუნება განა უკვდავი არ არის? სამუდამო მცდურობაა! შორიდან-გაკრეშეხეულობით ის უკვდავი ირვენება შეთვალეურეს, რომელიც ახალ წუთიერ სიცოცხლეს სთვლის გაგრძელებად წინანდელის სიცოცხლისა. შვანით, თუ ბუნება კვდება ღ სამარადისით აღორძინდება. რა ბოროტმაქმედებაა სიტუვითა? თუ ის, რაც დღეს იხადება, არ არის ერთი და იგივე რაც გუშინ მოკვდა, არამედ სხვა რამეა, მამ სადდაა აქ აღორძინება? ბევრასაგან ბევრ უთვალავ და წუთიერ მომავლავ არსებათაგან არას მემთხვევაში არ აღმოცენდება ერთი უკვდავი არსება.



სიცოცხლე ბუნებისა არის შეთანხმება სიკვდილსა და უკვდავებს შორის. სიკვდილი სწრაფად ევლავ ცოცხალ არსებას, ევლავ ინდივიდუალებს, უკვდავებს უთმობს მხოლოდ საზოგადო ფორმებს სიცოცხლისს: მტენარე, ან ცხოველი რამდენიმე წუთის შემდეგ სათითაოდ აუცილებელია უნდა (მოისხოს) დაიღუპოს, მაგრამ ფორმა მტენარისა, ან ცხოველისა, მადგმა ან ჭიში ორგანიზმის რჩება. ღვთის მტენებს უოველ არსათმადი: ნაყოფიერ იუყვით, გამრავლდით და აღავსებდეთ ქვეყნას, სიკვდილი თავის სასარგებლოდ იუყნებს. ნაყოფიერ იუყვით და გამრავლდით იმისთვის კი არა, რომ გაატაროთოვთ, განამტკიცოთ და უკვდავყოთ თქვენი სიცოცხლე, არამედ მისთვის, რომ ჩქარა აღიკავოთ, რომ თქვენს ადგილას სხვა ჩადგეს, აღავსეთ ქვეყანა თქვენი მომავლად კვამბითა, იუყვით ხილათ შემდეგი თაობისა, რომელიც თავის მხრით განება ხილათ თავის შემევიდრეთათვისა და სხვა... ნაცვლად სიცოცხლისა და უკვდავებისა—აი ეს დაუსრულებელი ხილათ რიგო. მართალია ისანი მუქთად არ შენდებიან, ამ მკვლარ გზაზე მიდის შემოქმედი ძალა მისთვის დანიშნულ მიზნისადმი. მაგრამ მისთვის უნდა იაროს იმან უსათუოდ მივიწეებულ საფლავებზე, და თუ მისი მიზანი კეთილია, მისთვისდაა ეს ცუდი საშუალება: მუდამ განხლებული მატურობა მომავლად სიცოცხლისა!

არაჲ ეს მოხუჩებოთ სიცოცხლე არის მხოლოდ ნიშანი და დასწევისი ჭეშმარიტ სიცოცხლისა; ხილული ბუნების მოწეობილობა (ორგანიზაცია) არ არის სრული გამარჯვება ცხოველი სულისა სიკვდილზე, არამედ მისი შემზადება ნამდვილ სამოქმედოდ. ამ მოქმედების დასაწყისშივე განდა გინიერი არსება და დასდა ცხოველების სამეფოზე მადლა. კაცს აქვს გარკვეული და გამზობადებელი ნიჭი აზროვნებისა, რომლის წყალობით სიცოცხლე მარტო წარმოშობის პროცესს კი აღარ ემსახურება, არამედ გონიერულად ამოქმედებს კადვე ინდივიდუალურ ძალებს.

ახალი ხანა სიცოცხლესა და სიკვდილ შორის ბრძოლის იწყება იქიდან, როცა უბრალო ცოცხალ და მომავლად არსებათა გარდა ამ ბრძოლას მართავენ აზროვნების სიცოცხლისა და სიკვდილს შესახებ. ამ აზროვნებაში კადვე არ არის გამარჯვება, მხო-

ლოდ იმათში არის უსწირესი იარადი გამარჯვებისა. გმირები კაცის აზროვნებისა, დიდებული ბრძენი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ამხადებდებენ გამარჯვებას. მაგრამ ისინი არ იუყენ სიკვდილის დამტრეუნილები: ისინი მოკვდებიან და აღარ აღმდგარან. სკამარისა დაგასხელოთ ორი დიდებული. ბუდას სწავლა-მოდლებს იუო თითქმის უაზრისოთა ბრძოლისა, ის ქადგებდა გულგრილობას სიცოცხლესა და სიკვდილსადმი და მისი სიკვდილიც არაფრით არ იუო შესანიშნავი. სოკრატე არ ჭეოფდა უარს ბრძოლას, ის მხრით იბრძოდა, და მისი სიკვდილ იუო საბატიო უყნდახერა მტრისათვის მიუდგომელ ადგილისაგენ, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც მის მტერს დარჩა.

თუ თაზიკური ძალა აუცილებელია მარცხდება სიკვდილისაგან, მაშინ გონებითი ძალა არ კმარა სიკვდილის დასმტრეუნად: მხოლოდ ზნეობრივი ძალის განუსაზღვრელობა ანიჭებს სიცოცხლეს დამოუკიდებელ საესებას, სწობს უოველგვარ გარანწილებას და, მამასადამე, სწობს ცოცხალ კაცის საბოლოოთ გარანწილებასაც: უსხეულო სულად და გასახრწნელ ნივთიერებად ჯვარცმულ ძე კაცისა და ძე ღვთისა, იგონებ რა თავისი თავი მიტრეუბლად კაცის მიერ და ღვთისმიერად, და ამასთანავე ლოცვულობდა რა მტერთა თვისათვის, ცხადია, არ ჭქნდა საზღვარი თავის სულიერ ძალისათვის და არც ერთ ნაწილს მისი არსებისა არ შექმლა დარჩენილიუო სიკვდილის ნადავლათ.

ჩვენ მისთვის ვკვდებით, რომ ჩვენი სულიერი ძალა, რომელიც შინაგან შემორკილია ცოდვათა და ვნებათაგან, სუსტი და უძლურია, რათა ხელი ჩასჭიდოს, შეიძეროს და გარდაქმნას თავის თავად მთელი ჩვენი გარეგანი ხორციელი არსება; ის (სხეული) გვმორდება და ჩვენი ბუნებითი უკვდავება (იმ უგანსკნელ ადგომამდე, რომელიც ჩვენ შეკვიდილია მივიღოთ ქრისტეს საშუალებით) არის მხოლოდ სახსერო, უკვდავია მარტო შინაგანი მხარე, მარტო უსხეულო სული. ქრისტე აღსდა საესებრით.

და ვითარ იგინი ამას იტუოდეს ოდენ და თავადი იესო დასდა შორის მათსა და ჭრქვა მათ: მშვიდობა თქვენთანა! — ხილად იგინი შეკმარწუნდეს

და შეეშინა, ეკონათ. ვითარებულ სული რაიმე იხილეს. და თავადმან ჰრქვა მათ: რას შეძრწუნებულხართ და რასათვის გულის სიტყვანი მრავალნი მოვლენან გულთა თქვენთა? ახილენით ხელნი ჩემნი და ფერხნი, რამეთუ თავადი მე ვარ. ხელი შემახეთ და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძვალ არა ასხენ, ვითარცა ესე მე მხრდავთ, რამეთუ მასხინ. და ეს რა ჰსთქვა, უჩვენა მათ ხელნი და ფერხნი მისნი, და ვიდრე იგი ადარა რწმენა მათ სიხარულისა მისგან და სკვირვლები-სა, ჰრქვა მათ იესო: გაქვს რა აქა ჭამდი? ხოლო მათ მიუხედავად მას თევზისა მწერისა ნასკვარი და თავისისგან გოლი. და მოილო და მსქამა წინაშე მათსა (ლუკა, 24, ვნ-43.).

სულიერი ძალა, რომელიც ქრისტეში შინაგან თავისუფალია ეოველგვარ განსაცდერისაგან, ხოლო ზნეობრივად განუსაზღვრელია, ბუნებითად თავისუფლდება მის აღგომაში ეოველ გვარ გარკვევან განსაცდერისაგან და, უწინარეს ეოველისა, განსაკუთრებით სული რ მუთუბობის ცალმხრობისაგან წინა-აღმდეგ ფიზიურ მუთუბობისა, — აღმდგარი ქრისტე მეტია, ვიდრე სული, — სულს არ აქვს სორცი და ძვალი, სული არა სჭამს სჭმედს, — როგორც სამარადისოთ განხორციელებული სული, ქრისტე შინაგან სულიერ არსების სავსებასთან იცავს ეოველგვარ დადებით შესაძლებლობას ფიზიურ მუთუბობისას, ვარდა მის გარეგან განსაცდერისა. ეოველი ცხოველი მასში სტოცხლობს, ეოველი მამაკვდავი დამარცხებულია აუცილებლივ და სემუდამით. არის რა სრული გამარჯვება სიცოცხლის სიკვდილზე, დადებითის უარყოფითზე, აღდგომა ქრისტესი მასთანვე არის გამარჯვება გონების ქვეყნად. ის (აღდგომა) არის სასწაული იმ აზრით, როგორითაც გამოჩენა რამე ახლისა ზირველად, როგორც არა ჩვეულებრივი და ახალი, ის ანცვიფრებს, ან და ევლანება სასწაულად. მსოფლიოს მოქმედების შედეგს რომ თავი დავანებოთ, დააკვირდეთ მხოლოდ მის სხვა და სხვა ახალ საფეხურებს, მაშინ თვითეული მათგანი სასწაულად წარმოგვიდგება. როგორც გამოჩენა ზირველ ცოცხალ თარგანზმისა შორისი უსულა ბუნებასა, შემდეგ, როგორც გამოეყება ზირველ განიერ არსებისა ზირველსა სემუფაზე იუო სასწაული, ებრეთვე გამოჩენა ზირველ მთლად სულიერ და ამიტ-

ომ სიკვდილისადმი არ ქვემდებარე აცისა — მომავლ-დავთაგან ზირმშობისა — იუო სასწაული. თუ სასწაუ-ლებად ითვლებოდნენ წინასწარი გამარჯვებანი სი-ცოცხლისა სიკვდილზე, მაშინ სასწაულად უნდა მივიღოთ სობოლოთ გამარჯვებაც. მაგრამ რაც სასწაულად გვეჩვენება, იმას სრულიად ბუნებოთ აუცილებელ და განიერ შემთხვევად ვლინდებოთ. ქრისტეს აღდგომის ქვეშეობება არის ქვეშეობ-ება უკლება, სრული — არა მარტო ქვეშეობება საწმუნებისა, არამედ ქვეშეობება განებისაც. ქრისტე რომ არ აღმდგარიყო, კაიფა რამ მართა-ლი ეოფილიყო, ირადი და ზილატე კი ბრძენნი, ქვეყანს გადიქრეოდა უარუკებათ ბოროტების, მცდუ-რბობის და სიკვდილის სემუფოთ, სემუ ვისიმე სიცო-ცხლის მოსზობაში კი არ მდგომარეობდა, არამედ იმაში მოსზობა თუ არა ქვეშეობი სიცოცხლე სრულიად ნამდვილი მართლისა. ამ გვარ სიცოც-ხლეს რომ არ შესაძლებლდეს მტრის დათგუნვა რადა იმედი დარჩებოდა მომავლისთვის? ქრისტე რომ არ აღმდგარიყო მაშინ ვინდა აღსდგებოდა?

ქრისტე აღსდგა!

**მღ. ნიპიფორე კანდელიაი**

**დროს ფასი.**

ჩვენ ღირსიულად არ ვაფასებთ დროს. ვილამეც მშვენიერად სთქვა ამის შესახებ: „ჯერ არ დაბადებულა ქვეყნად კაცი, რომელიც ღირსიულად აფასებდეს თავის სიცოცხ-ლის დროს“. ჩვენ, გამოუტყდელი ჰაბუკის მსგავსად, ქარათმუტად ვხარჯავთ ოქროს დროს, გვეონია-რა, რომ მომავალში გამო-ულიველია იგი, რომ ჩვენ სიმდიდრეს ამ შემთხვევაში ბოლო არა აქვს. სიცოცხლის დასაწყისს და მის ბოლოს ჩვენ თითქოს დურბინდში ვუკვერით, რომელიც ერთის მხრივ საგანს აღიღებს და ახლო აჩვენებს, ხოლო მეორეს მხრივ — აპარტარეებს და აშო-რებს. როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ ჩვენი სიცოცხლის დასაწყისს, იგი ჩვენ გვეჩვენება ახლოს; ხოლო როდესაც სიცოცხლის ბო-

ლოს წარმოვიდგინოთ, იგი ძალიან მოშორებით გვეჩვენება. ფსალმუნის სიტყვით-კი, კაცის სიკაცხლე გმელდება სამოც და-ათი წელიწადი, ხოლო—ოთხმოცი წელიწადი, თუ მაგარი ბუნება აქვს. ადამიანთა მომეტებული ნაწილისთვის ეს კიდევაც დიდი ხანია ნაჩვენები. ბევრი კვდება ისე, რომ 50 წლამდისაც ვერ აღწევს. მაინც წარმოვიდგინოთ რომ ჩვენ ვიცოცხლებთ 70 წლამდის. ამ შემთხვევაში ოცი წლის კაცს დარჩენია სიკაცხლე 18,250 დღე; ოცდაათის წლისას—16,425; ოცდაათი წლისას—14,600; ოცდათხუთმეტი წლისას—12,775 და ორმოცი წლისას—10,950 დღე. აი ეს არის მთლად ჩვენი ქვეყნიური სიკაცხლის დრო, ჩვენი სიკაცხლის თავნი, რომელსაც სარგებელი-კი არ მოაქვს, თანდათან-კი არ ემატება, არამედ თითო დღით და საათით აკლდება. ჩვენ ვხარჯავთ თითონ თავს; ამასთანავე მის კარგა ბლომა ნაწილს ვაძლევთ ვალის გადახდაში: მის მესამედს გვართმევს ძილი, ზოგს კიდევ—ავათმყოფობა.

ჩვენ რომ 16000 მანეთი ფული გვქონდეს, დიდ თავნად ჩავთვლიდით ამას. მაგრამ თუ ამ ფულისთვის ჩვენ არაფრის მომატება არ შეგვიძლიან; პირიქით, იძულებული ვართ თითონ თავნიდან ვხარჯოთ, და მასთანაც მისი თითქმის ერთი ნახევარი ვალში მივცეთ, მაშინ ჩვენ ძალიან ფთხილად მოვეკიდებოდით დანარჩენ ნახევარს. აგრეთვე საჭიროა გაფრთხილებით მოქცევა დროსთან. გონიერმა სენეკამ სთქვა: „დროს შესახებ ძუნწობა—კეთილი საქმეა“. დროზედ ძვირფასი საუნჯე აღარა იქნება რა. მისი უბრალო გაფლანგვა უდიდესი ზარალია. დროს უნაყოფო დახარჯვაზე სამართლიანი იქნებოდა ასეთი განცხადება იბეჭდებოდა: „მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის დაკარგულია რამდენიმე ოქროს საათი; თითო კული მათგანი მოკედელი იყო სამოცი ძვირფასი ბრილიანტის წუთებიო; ამასთან, სამწუხაროდ, ყოველივე ძებნა ტყუილი-ღაა, რადგანაც ამ დაკარგულის პოვნა შეუძლებელია“.

ყველაფრის მობრუნება შეიძლება, მხო-

ლოდ დროსი-კი—არა. შესაძლებელია დაკარგული სიმდიდრის შოვნაც, ავათმყოფის ჯანმრთელობის დაბრუნებაც. შესუსტებული მეგობრობის განახლებაც, გატეხილი სახელის აღდგენაც,—მაგრამ დროს დაბრუნება არას-გზით არ შეიძლება. რამდენი წამიც გადის, იმდენად თანდათან მოკლდება სიკაცხლის ძაფი. დღევანდელი დღე, მზის ჩასვლით გათავებული, აღარასოდეს არ დაბრუნდება. თუმცა ხელმეორედ ამოვა მზე და კიდევაც ჩავა, მაგრამ ეს სხვა—ახალი დღე იქნება. წარსული—დაუბრუნებელი დანაკარგია ჩვენი სასიკაცხლო თანხიდან. მიუხედავად ამისა, მაინც არის საშუალება ჩვენი ცხოვრების გაგრძელებისა.

მოგიხდათ თქვენ როდისმე ზღვის ნაპირს დგომა და მის სივრცეზე ცქერა? თუმცა ზღვის სივრცე გრძელდება ოც ვერსზე და მეტზედაც, მაგრამ თქვენ-კი გეჩვენებათ, რომ ორი-სამი ვერსის მანძილი მეტი არ არისო. აი წყლის სივრცეზე ჩნდებიან სხვა და სხვა ნავეები, გემები, პარახოდები. პირველი—ერთი ვერსის სიშორეზეა ნაპირიდან; მეორე—სამი ვერსის მანძილზეა; მესამე—რვა ვერსზე მეოთხე—ათ ვერსზე; მეხუთე—თხუთმეტზე, და სხვანი უფრო და უფრო კიდევ შორს. ეხლა თქვენ ამჩნევთ, რომ წყლის სივრცე თითქოს გაიწია თქვენგან. რამდენიც ბევრი გემი მოსჩანს ზღვაზე, იმდენად ცხადად ხედავთ მის სიშორეს. ესევე უნდა ითქვას დროზედაც. შრომითა და ღვაწლით აღსავსე სიკაცხლე უფრო გძლიათ გვეჩვენება, მინამ უსაქმო და მოწყენილი. უსაქმოებაში ცალკე წუთებიც-კი გძლიათ გვეჩვენებიან, თითქოს ბოლო არ უჩანთ; მაგრამ მთლად ასეთი სიკაცხლე, როდესაც იმას ჩაუკვირდები, მოკლეა, როგორც შავი ნისლით ჩამოფარებული სივრცე. არაფერია მასში მოსავონი. საქმიანობა-კი, ნაყოფიერება მუშაობისა შესამჩნევად ხდის ყოველ დღეს, და მათი რიცხვი ამით თითქოს იზრდება.

როდესც იგონებ, რა გააკეთა მაცხოვარმა იესო ქრისტემ ქვეყანაზე თავის ქადა-

გების სამი წლის განმავლობაში, გგონია, რომ მისი მოქმედება გძელდებოდა რამდენიმე ათი წელიწადი. სიცოცხლე პავლე მოციქულისა, რომელმაც თითქმის მთელი ნახევარი მაშინდელი ქვეყნისა შემოიარა ქადაგებით, უფრო გძლათ გეჩვენება მათუსილას სიცოცხლეს. ორმოცდაათი წელიწადი პეტრე დიდის ცხოვრებისა უდრიდა სხვა რამდენიმე ხელმწიფის სიცოცხლეს. მუდამ უამს შრომაში გაბმულ კაცს თავის სიცოცხლე ძალიან გძლათ მიანია.

მაშასადამე, თუ დრო ძვირფასი საუნჯეა, —საქიროა ვისწავლოთ მისი შენახვა და დაზოგვა, დროს შენახვას ისეთივე წესები აქვს, როგორც ფულის შენახვას. უნდა გავფიქრობოთ, რომ დრო ქურდმა არ მოგვპაროს. ჩვენ ბევრ დროსა გვპარავენ. ბევრჯელ ძილი გვართმევს დიდ დროს. დღე და-ღამეში შეიძლება ან რვა საათი ძილი—ეს კიდევაც საქიროა ჩვენი დაღლილი სხეულისთვის. მაგრამ ბევრი არ კმაყოფილდება ამას და სძინავთ ზოგს ათი, ან ოთხმეტი საათიც-კი. ამნაირათ ძილი გვპარავენ ჩვენ დროს.

მეორე მპარავი არის სიზარმაცე. „საქმე დათვი ხომ არ არის, — ვამბობთ ჩვენ, — რომ ტყეში გაიქცეს“ საქმე, რა თქმა უნდა, არ გაიქცევა. გაუკეთებელი საქმე, რამდენი ხანიც გინდა, დარჩება ისე, — მაგრამ — დრო? ის ხომ მირბის, და მის მიმდინარეობას ვერაფერი ძალით ვერ გააჩერებ და უკან ვერ დააბრუნებ. არასოდეს არ გადასდო ხვალისთვის ის, რასაც დღეს უნდა გაკეთება; არ გადასდო სადილის შემდეგისთვის ის, რასაც სადილამდის უნდა გაკეთება. „ხვალე“ ს და „სადილის შემდეგ“-ს აქვთ თუინათი საქმე. სამუშაო, ვალი.

ნურასოდეს ნუ დადგები უსაქმოდ. როგორ გასაჯავრებელი და საწყენია ის გარემოება, როცა დიდი ღრუბელი უნაყოფოდ გაივლის, გვალვით შეწუხებულ დედამიწაზე, ერთ ცვარსაც არ გააგდებს მასზედ, და ზღვაზე-კი მთლად წვიმათ დაიდგება! მინდვრები და ყანები სიცხის პაპანაქებისაგან იწვიან, სწყურიანთ გამაკოცლებელი ნამი;

ღრუბელი კი მიდის დაბნული და ძვირფას ნაკადულს ტყუილუბრალოდ აფრქვევს ზღვაზე. აი ამნაირათვე გასაჯავრებელი და საწყენია დანახვა ცუდლუტი ადამიანისა. რამდენია ყველგან საქმე! რამდენი სინდისიერი მუშაკია ყველგან საქიროს ხალხი-კი ცუდლუტობს, უსაქმობისაგან დროველარ გაუტარებია ზგული ელგვა. აბა დაფიქრდით, რომ ყოველი ადამიანი აკეთებდეს რაიმე კეთილს, გონივრულს, საზოგადოდ-სასარგებლოს, — განა მაშინ ცხოვრება ასეთი ცუდი იქნებოდა, როგორც ესლა არის? რამდენი ადამიანის ძალა, ნიჭი, ქკუა, რამდენი კეთილი გრძნობა და მისწრაფება იკარგება ტყუილ-უბრალოდ! დიდი ღრუბლები მიდიან ახლოს, დედა-მიწას-კი წყურვილით გული მისდის!

მე ვფიქრობ, რომ ყველაზე საცოდავი სანახავი ქვეყანაზე არის უსაქმოდ დარჩენილი კაცი. რათ უნდა დარჩე უსაქმოდ? ამოდენა სამუშაოა გარშემო, საცა-კი მიიხედავ. არ იცი მუშაობა? ისწავლე: იკითხე, იფიქრე, ჩაუვირდი ცხოვრებას. მუშაობისათვის მზადება — იგივე მუშაობაა. დაიფარეთ ძვირფასი საუნჯე — დრო ქურდებისაგან: სიზარმაცისაგან, უსაქმობისაგან, დიდხანს ძილისაგან.

ქურდებისაგან დაფარვის გარდა, ჩვენ თითონ უნდა გაუფრთხილდეთ დროს, — არ ვხარჯოთ ტყუილ-უბრალოდ. ჩვენ საზოგადოდ საშინლად ვფლანგავთ დროს. ჩვეულე-ბათა გვაქს გადაქცეული, რომ არ უფრთხილდებით დროს დანარჩენებს, მის ნამცეცებს, იმის მსგავსად, როგორც არ ვუფრთხილდებით ცალკე კაპეიკებს. ერთიან დიდ ფულს ჩვენ ვინახავთ. ჩვენ ხშირად ვამბობთ: „არ დავახურდავებ ქალაქის დიდ ფულს, რადგანაც დახურდავების შემდეგ წვრილ წვრილად მხარჯება“ო. წვრილ ფულს-კი ჩვენ ძალიან ადვილად ვხარჯავთ, თითქოს ეს იგივე ფული არ იყოს.

საზღვარ-გარეთ მოგზაურობის დროს, მე ერთი სახემწიფოდან მეორეში გადავდიოდი. უცხო სახემწიფოში გადასვლის წინათ საქირო იყო ფულის დახურდავება იმ სახელმწიფოს ფულზე. ქისაში ყოველთაის მრჩებოდა

წერილი ვერცხლის ფული დატოვებულ სახელმწიფოსი. ვფიქრობდი, განა ღირს რამდენიმე აბაზიანის დასახურდავებლად სიარული და უბრალო საქმეზე ხალხის შეწყუბება-თქო! საქმე ჩვეულებრივ თავდებოდა იმითი, რომ წერილი ფული სასტუმროს მოსამსახურებს ეძლეოდა ტყუილ უბრალოდ. სახლში დაბრუნებისას, გზაზე შემხვდა გასასყიდი საჭირო იშვიათი წიგნი, ოც მანეთად ღირებული. გზაზე ხარჯის შემდეგ აღარ მქონდა ფული, რომ მეყიდნა. ვიანგარიშე ქველა ჩაწერილი დანახარჯი და აღმოჩნდა, რომ სწორეთ ოცი მანეთი მიმეცა წერილ წერილად ტყუილ-უბრალოდ მოსამსახურებისთვის. წინათ აბაზიანები არაფრად მიმაჩნდა, ეხლა-კი ისინი ერთად ძალიან სასარგებლო იქნებოდნენ ჩემთვის. ესევე უნდა ითქვას დროს შესახებაც. უნდა ვუცქერდეთ თვითნებულ თავისუფალ ათ წამს—როგორც დიდად გამოსადგეს; ნუ გადაადგებთ იმას ტყუილ-უბრალოდ. ეს თითქოს გამოუსადეგარი მინუტები შეიძლება ბოლოს ძალიან და ძალიანაც დაგჭირდეთ და გამოგადგესთ. ერთმა ნასწავლმა ექიმმა დასწერა კაოხდაშით ნაგლეჯ ქალაქებზე რამდენიმე სამეცნიერო წიგნი ავთ-მყოფთან სიარულის დროს ეტლში. ხუთი ათასი მშვიერი კაცის გაძღომის შემდეგ მაცხოვარმა სთქვა: „შეჭკრიბეთ ნებტი ეგე ნამუსრევისა, რათა ნუმცარა წარწყმდების“ (იოან. 6. 12).

მეორე სახე დროს გაფლანგვისა მდგომარეობს იმაში, რომ იაფ ფასიან საგანში ჩვენ დიდ ფასს ვაძლევთ. საგანი ღირს ერთ მანეთად; ჩვენ-კი ხუთ მანეთს, ერთ თუმანს ვაძლევთ. ზოგიერთ საქმეზე უნდა მოგვინდომებინა კვირაში ორი-სამი საათი;—ჩვენ-კი ვხარჯავთ მთელ დღეებს. აიღეთ მაგალითად ჩვენი სიამოვნებანი, გართობანი. რამდენი დრო იხარჯება მათზე! რასაკვირველია, იმას ვერაინ ვერ იტყვის, რომ სიამოვნება ჩვენთვის არასოდეს საჭირო არ იყვის. კეთილი, გონიერული გართობა, მეგობრებთან სასიამოვნო საუბარი, სერუნობა—სასარგებლონი არიან. ისინი იგივეა, რაც საქმელში სანელე-

ბელი. მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ მთელი სადღილი მარტო სანელეებელიდან გაკეთდეს, არ შეიძლება, რომ მულამ ტკბილი საქმელები ექამოთ. აგრეთვე არ შეიძლება, რომ მომეტებული ნაწილი დროისა სიამოვნებას მოვანდომოთ. ყველას თავისი დრო აქვს, საქმეს—თავისი, სიამოვნებას—თავისი.

მალოდ ერთ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვძუნწობდეთ დროს დახარჯვაში, ეს—კეთილი საქმის გაკეთებაზე, ღვთის სასუფეველის დამყარებაზე ჩვენ სულში არავის არ შეუძლიან იმის თქმა, რომ იმან საკმარისად იმუშავა ამ გზაზე, და მითომ აღარ არის საჭირო მუშაობა. აქ ჩვენთვის საუკეთესო გაკვეთილად შეიძლება მოვიყვანოთ მგონის სიტყვები, რომელიც ამბობს:

როდემდის უნდა ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?

როდემდის არ ვსცემთ ღვთიურ ნიქსა ღირსსა თავყენსა?

მას ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ,

და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვის ვსახავთ?

ძრწოდე, სულელო! ნუ თუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,

ნუ თუ შენს თავსა, მტვრათა შექმნილს, ჰხედავ კვლავ მტვრათა;

და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიქს, მტვრის თანამგზავრად;

რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...

ნუ თუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,

როს ბძანა: „ვითა მამა ზეცის იყავნ შენც სრული.?.“.

ჩვენ უფალმა მოგვანდო ღიდი საქმე. გამოგვზანა ჩვენ ქვეყნად, მოგვცა სიცოცხლე, ნიქი, ძალა, რომ დავამყაროთ მისი სასუფეველი. ღვთის საქმე სდგას, ხოლო დრო მირბის გაუჩერებლივ; პავლე მოციქული სწერს „ეკრძალებოდეთ უკვე, ვითარმე გაკრძალულად ჰხვალთ; ნუ ვითარცა უგუნური, არამედ

ვითარცა ბრძენნი; გამოიკვლიდით ყაბთა,  
რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“ (ეფეს. 5,  
15—16).

მღ. იოანე ლუკიანოვა

### გ ა ზ ა ფ ნ უ ლ ი

ნადიმსა მართავს ბუნება,  
სიკვდილზე გამარჯვებული;—  
დღესასწაულობს აღდგომას  
ყოველი დაბადებული.

გაღვიძებული ტყე—ველი  
ირთვება მრავალ ფერითა,  
ზედ სიო ძღვევის გალობას  
უკრავს მთრთოლვარე ხელითა.

ლაქვარდოვანსა წიაღზე  
ცას აუნთია ლამპრები,  
თავს ევლებიან მიწასა  
დღე და—ღამე მოლაპლაპები.

წყლები ანკარად ქცეული  
ტიტინ—ლილინით დინებით,  
ხავერდით მოსილ მთა—ველსა  
ქარგვენ ვერცხლისა სიმებით.

მერცხალნი ჰაერს კამარას  
ავლებენ მალის ფრენითა  
და სადარბაზოდ კაცებთან  
დაქრიან ტკბილი მღერითა.

გამთბარი ქიანქველები  
ტრფილით მირბი—მორბიან,  
დღესასწაულსა ულოცვენ  
და ერთმანეთსა კოცნიან.

ფუტკარი გამოფრენილა  
გაათკეცებულ ღონითა  
იკავებს მჩქეფარ ძალასა  
სკისა გარშემო ქროლითა.

აქ აღარ არის მტარვალი  
სხვისი უფლების მთელავი:  
სურნელოვანსა ტურფა ვარდს  
გვერდით მოუსხამს ეკალი.

როს მოედება კაცთაცა  
გნახლებისა მდინარე,  
სიყვარულს შეუერთდება  
დღეს მტარვალი და მძვინვარე,

ერთ გუნდად შეხმატკბილდება  
ყველას გონება და გული,  
დადგება ქვეყნის სრული და  
საერთო დღესასწაული

ონოფრე მწირი.

### შეჩილი უბთილან.

დილა აღრიან რომ თვალი გადაავლო,  
ჩემო ძვირფასო მკითხველო, ფოთის ქუჩებს,  
ნათლად დარწმუნდები, რომ ფოთში ოთხფე-  
ხა მოქალაქეები ორფეხა „ლრაქდანინებს“ არ  
ჩამორჩებიან რაოდენობით. ბულვარზე, ეზო-  
ებში, ქუჩებში—ყველგან ძროხებისა, ხბოები-  
სა, ცხენებისა და ღორების ჯოგები ბალახო-  
ბენ, ყოველი მხრიდან მოისმის ბლავილი,  
ფშუილი, კიხვინი, ღრუტუნი და სხ. ამ საო-  
ცარ მუსიკას ფოთელები ისე შესთვისებინ,  
რომ წირვა-ლოცვაშიაც კი შეუტანიათ იგი.  
ფოთის ქალაქის თავის მოადგილეს,  
ცნობილ იონა მეუნარგიას, დღეში არ მოს-  
ვლია, რომ სამღვდელოება ფულსა სთხოვდა  
ფოთის თვითმართველობას მგალობელთა გუნ-  
დის გასაძლიერებლად. ძალიან ღრმად ჩაჰკვი-  
რებია იონა სასულიერო უწყებისაგან წამო-  
ყენებულ საკითხს და სამაგალითო აღმოჩენა  
მოუხდენია: მგალობელთა გუნდის გაძლიერე-  
ბა პირუტყვებით რომ შეიძლება, ისე კაცე-  
ბით წარმოუდგენელია, ამასთან პირუტყვებს  
რომ ნება დაერთო ეკლესიის ეზოში თავის-

უფლათ ძონისა, მეტს აღარათერს მომთხოვენ შრომაში და ამ გვარად ქალაქს გადავარჩენ ფულების გაცემისგანო, მოიფიქრა იონამ და შეასრულა კიდევ: რაც ფოთში საქონელია, ყველა საკრებულო ტაძრის ეზოში ჩადენინა თავის ხელქვეითებს და ხსენებული ეზო სანახიროთ გამოაცხადა. \*) მკითხველების ხმაურობით და მგალობელთა გუნდის გუგუნით საღერდელ აშლილი ეკლესიის კედლებთან მობალახენი მორთავენ ხოლმე ქიხინბლავილ-ზმუილ-კიკინ-ყიყინს და, ნუ იტყვიო, ყველა ეს თურმე ისეთი ანგელოზებრივი ჰანგი გამოდის, რომ მლოცველები ღმობიერებით ივსებიან და თავი ზეცაში ჰკონიით ხოლმე!

მოდრი და ამის შეგდევ გენიოსად ნუ აღიარებ ჩვენ იონას! რატომ სხვა ვერაინ მიხვდა ყველა ამას? რაზე ტყავდება, მაგალითად, თბილისი, რომ ყოველ წლობით სიონის ტაძარს აძლევს არა მცირედ წველილს მგალობლების შესანახად? უეჭველია, სავარძელში რბილათ ჩამჯდარი იონა ტუბილად კუპკუპობს და იცინის, რომ თბილისის ქალაქის თავის მოადგილეს, ბ. ხატისოვს, ვერ გაუგია მისი „სეკრეტი“. თუ ამ წერილმა თბილისამდე ჩააღწია, რა თქმა უნდა, ბ. ხატისოვი საკუთარი ხელით დაარღვევს სიონისა, ვანქისა და სამხედრო ტაძრების გალავნებს და ტაძრებში გალობის გასაუმჯობესებლად მათ ეზოებს გამოაცხადებს თბილისელი მემწვანელების კოხტა ვირების საბალახოდ.

არ იფიქრო, ჩემო მკითხველო, რომ მე ოხუნჯობის მადაზე ვიყო, ანდა კიდევ განგებ ვაქარბებდე რამეს, არა, ეს მხოლოდ მკრთალი სურათია სინამდვილისა. თქვენ რომ კვირას ან დღესასწაულის დღეს წირვის გამოსვლისას გაჩერდეთ ეკლესიის მახლობელ ქუჩაში, დიდად შეგებრალებათ ფოთელი ბანოვანები: ხან ერთ ალაგას წამოჰკრავენ თავიანთ კოხტა ფეხებს „სახიზღარ სირბილეს, ხან მეორეს, ხან ერთი წამოიკილვებს

\*) ეს საკითხი იონა მეუნარგიამ დაისკუთრა და ფოთის თვის ნ. ნიკოლაძეს მის ავ-კარგში არავითარი მონაწილეობა არ მიუძღია.

„Тфу какая гадость“, ხან მეორე „ოჰ, დედავ მომკალი, ეს რა დამემართა“ და სხ. ვნების კვირიაკეში ხომ თვალთ აღარ ინახება ეკლესიის ეზო. ამ კვირას ზიარობენ ფოთის ყველა სასწავლებლების მოწაფეები ერთად და ამოდენა ბავშვები ისე ზელენ საქონლის ფენს, როგორც მუაგურე თათრები აყოლო მიწას.

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ სემინარიის დაბალი კლასებიდან და სასულიერო სასწავლებლიდან გამორეკილი, საერო სამსახურში ფეხმოკიდებული მღვდლის შვილები, საარაკო მოძულენი არიან ეკლესიისა და სამღვდლოებისა. ფოთის ქალაქის „ღუმე-უბრა-ვაში“ ამგვარი პირები ბუღობენ და ამიტომ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ ამ უბადალო საზოგადო მოღვაწეებს ამოუხეცილი აქვთ თავიანთ სამოღვაწო პროგრამიდან ეკლესიაზე ზრუნვა და მათ თვალში სამღვდლო პირს არაფერი დაფასება არა აქვს, მაგრამ ვერ გავიგია, მღვდლების ზიზღისა და სიძულილის გამო თავიანთ ნათესავეებს, მეზობლებს, ცოლებს და ქალიშვილებს რაღათ სჯიან ქალაქის მამები!

ფოთში სანიტარული კომისიაც არსებობს, მაგრამ ხელი ვერ უხლია ამ ზღაპრული მეფე ავგიოზის თავლების მსგავსი ალაგისთვის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ჰერკულესობას ვერ შესძლებს.

თქვენ ბძანებთ, სასულიერო მთავრობა რას არიგებს, რატომ ის არ ხედავს ყველა ამასო? ხედავს კიდევ და ბევრსაც ცდილობს, მაგრამ ვერას გამხდარა, რადგანაც ბ. მეუნარგიას წყალობით ეკლესიის ეზო გუბერნიის სამართველომ ქალაქის საკუთრებად იცნო და სამღვდლოებას ეუბნებიან: მაგ საქმეში ტყუილათ ეჩრებით, ალაგის ბატრონი ქალაქია და როგორც სურს, ისე მოუვლის თავის საკუთრებას, თქვენ არა გეკითხებათარა.

ეჰ, შე ოხერო დროვ, როგორ წარამარა ატრიალებ ცხოვრების ჩარხს: - მეუნარგიას და მისთანებსაც ერგოთ ეკლესიისა და სამღვდლოების უმფროსობა! აფსუს, იონას მზრუნველობაზე დამოკიდებულია წმიდა ტაძარი!

ლუბა.



## „ქრისტე აღდგა!“

ქრისტე აღდგაო, ვამბობთ და  
ქრესტიანობა, — ვამტკიცებთ,  
ამ სპეტაკ რწმენას, ბოროტი  
ურწმუნოებით ვაბიღწებთ.

—  
არა გვწამს მისი მოძღვრება,  
ჯოჯოხეთიდან დამხსნელი,  
თვით ჯოჯოხეთში მივცივით  
მის მცნების დამრღვევ—დამხსნელი.

—  
ახალი მცნება გადმოგცა —  
უკვდავებისა წყაროთა,  
ორთავ ცხოვრების სამოთხე  
აღვითქვა სანეტაროთა..

—  
ამის პოვნისა გზა მოგვცა:  
გიყვარდესთ ერთი ღმერთიო,  
გიყვარდესთ ყველა მოყვასი,  
გიყვარდესთ ერთმანეთიო.

—  
ეს დიდებული მოძღვარი  
თვით შევიძულეთ, ვაწამეთ,  
და იმის მცნებას ჩვენს გულში  
ერთი წამიც არ ვაცალეთ.

—  
კეთილისათვის, ბოროტათ  
ჯვარს ვაცვით, ლურსმნით განვმსკვალეთ,  
ის კი, შენდობას გვაძლევდა  
იმავ დროს, როცა ვაწვალეთ.

—  
სიკვდილით დასჯილს, საფლავზე,  
ზედ დავაგორეთ ლოდები,  
და ამის შემდეგ სიკეთე  
გვქონდა რამ მოსალოდები?!

—  
მოძღვარი მაინც არ დასცხრა,  
ზე აღსდგა ღვთაებრ მკვდრეთითა!!  
კვლავ ფენს ქვეყანას ნათელსა,  
ზნელს ფანტავს ძლიერებითა.

კვლავ სიყვარულსა გვასწავებს;  
ერთმანეთისა გატანას...  
ჩვენ მაინც ვარღვევთ მის მცნებას,  
და შევდგომივართ სატანას!!

—  
განა ნება გვაქვს ვიძახით:  
აღსდგაო ნაზარეველი?  
კაცთა ხსნისათვის ტანჯული,  
ჯოჯოხეთისა მძლეველი?!

რ. საჯავახელი

ვაი საწუალი ღვდლის ბრალი.

მამა ზაქარია გულისაშვილმა გაზეთში  
გამოაქვეყნა, რომ მას შეურაცყოფა მიაცენეს  
მიცვალებულის დამარხვის დროს. საგული-  
სხმიერო ამბავია!

მამა გულისაშვილი გამოვიდა ერთად-  
ერთი მღვდელი თბილისში, რომელმაც გაზე-  
თი გაზეთში გამოქვეყნება მიყენებული შე-  
ურაცყოფისა, მაგრამ რადღენი მღვდელია  
თბილისშიც და მს გარეთაც, რომელთაც  
უფრო უმეტესი შეურაცყოფა მიუღიათ, მაგ-  
რამ სდუმან შიშისათვის კინტათასა, — ეშინიანთ,  
ვაი თუ ჩვენმა შეურაცხყოფლებმა იწყინონ  
და უფრო უარესი ღლე დავაყენონო; იმას  
კი აღარ ფიქრობენ, რომ ქრისტე მოსახოვთ  
მათ პასუხს სარწმუნოების საქმეებში ნელ-  
თფილობისათვის. აღარ ჰღვავის მღვდლების  
გულში საღვთო ცეცხლი ქრისტეს სარწმუ-  
ნობისა, თორემ განა დასათმობია და მისაჩ-  
ქმალთა „ძმაბიჭებისაგან“ შეურაცხყოფა?!

ზაქარია გულისაშვილს შეურაცხყოფა მი-  
აცენეს მიცვალებულის დამარხვაზე. მაგრამ  
ქალაქში მიცვალებულის დამარხვა ხომ ჯო-  
ჯოხეთია. მიცვალებულს მისვენებს დამთვრა-  
ლი ამქარი, ხან ისე მიაბრებინებენ, რომ თუ  
მღვდელი მარჯვეთ არ არის კისერში მიარტყ-  
მენ კუბოს, ხან კიდევ ისე ნელა მიდიან,  
რომ ახალ ფეხადგმული ბავშვიც გაასწროს.  
სახლიდან ეკლესიამდე და ეკლესიიდან საფლავ-  
ამდე ათჯერ მაინც დაასვენებენ მიცვალე-

ბულს-აქ ქირით იღგაო ამ სახლებშიო, აქ დუქანი ჰქონდაო, აქ ეხლა აქვს დუქანო, ხანდახან პირდაპირ და მოკლე გზასაც კი გადუხვევენ ხოლმე მხოლოდ მიტომ, რომ გაატარონ კუბო იმ ადგილისკენ, საცა განსვენებულს ან უქეიფნია, ან უთამაშნია; რას მილაპარაკობენ გზაზე, რას ლაპარაკობენ წირვის დროს, რას ჩადიან ეკლესიის ეზოში, უმჯობესია კაცს არა ჰქონდეს თვალები და ყურები, რომ არ დაინახოს და არ გაიგონოს.—ველარ მოითმინა მ. გულისაშვილმა ასეთი მასხარად აგდება ეკლესიის მსახურისა და დადინჯებით სთხოვა ხალხს წესიერად მოქცეულიყვნენ და ცოტა გაეჩქარებინათ ფეხი. პასუხად გინება მიიღო და რომ ვერ მოითმინა და შესამოსის ხდაც დაიწყო, მაშინ სილაც იგემა. დაილოცა სამართალი „ძმა ბაჭებისა“, ვერც ეშვებთან მღვდელს, უნდათ რომ გაუძღვეს წინ მათ მიცვალებულს და აგინებენ, ხოლო თუ ვერ აიტანა მღვდელმა და სთქვა რამე, სცემენ! მხოლოდ უპატრონო სასულიერო წოდება აიტანს ამას; „ძმა ბიჭებმაც“ იციან, რომ მღვდლის ტყავი ყველაფერს აიტანს და აკი სცემენ კიდევ.

ეს არის ტლანქი, უკმეხი, მოუხეშავი და ცინვა და შეურაცხყოფა ქრისტიანობისა და მის მსახურთა; განათლებულები კი რასაკვირველია, თუ მიაყენებენ შეურაცხყოფას მღვდელს, ისე მოიქცევიან, რომ უფრო განათლებულად და კულტურულად გამოვიდეს საქმე. მაგრამ ამაზე შემდეგ.

გამოიღვიძეთ მღვდლებო! რა გაგიხდათ ეგ ძილი, რომ არც კინტოების სიღები, არც მათი მასხარად აგდება, არაფერი არა მოკმედობს თქვენზე და ვერ გამოგიფშენებთათ თვალები! თუ თქვენვე არ მოუარეთ თქვენ თავს, თუ თქვენვე არ მიმართავთ თქვენს მთავრობას, პატივცემულ და გავლენიან პირებს თქვენს მრევლში, თუ თქვენვე არ გამოიჩინეთ ურთიერთისადმი ქირისუფულობა და გულშემატკივრობა, მერწმუნეთ, გარეშენი სულ არ მოგაქცევენ ყურადღებას. დღეს რომ სილა გაგარტყეს, მღვდლებო, ან შემოგაფურჩხეს პირში, თუ ხმა არ გავციოთ და

გაჩუმიდით შიშისთვის კინტოთასს, იცოდეთ ხვალ ისინივე პანდურის ცემით გამოგრეკავენ ეკლესიიდან და ღირსებიც იქნებით ამისი.

სასულიერო.

**საშუაღღებოდ თბილისის საზღვდელმო-ბისა.**

შაბათს, აპრილის 24,-ს ჩვეულებისამებრ გულდასმით ვათვლიერებდი იმ დღეს თბილისიდან მოტანილ გაზეთს „ღროება-ს“ და გაცოცხლებული დავრჩი, როდესაც ჩამოვიკითხე ხსენებული გაზეთის უკანასკნელ გვერდზე მოთავსებული ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლის ზაქარია გულისაშვილის „ღია წერილი ავლაბრელ შეგნებულ პირთადმი“. ეს რა უბედურებაა, ბატონებო, ჩვენს თავს?! ნუთუ ჩვენი დედა ქალაქის უძველეს და უდიდეს ნაწილში,-ავლაბარში,-ველეური ზულუსები და გოტენტოტები სახლობენ, სახლობენ, რომ ქრისტიანული მღვდელმოქმედების შესრულება შეუძლებელი გამხდარა?! რა მიზეზია, რომ თბილისში, შუადღისას, დიდი საზოგადოების თვალ წინ ცემა-ტყუპით უმასპინძლებიან შემოსილს და გაქაღარავებულ მოძღვარს? რა ჩადინა და რა დააშავა საამისო ბეჩავმა მღვდელმა?

მოუსმინოთ თვით შეურაცხოფილს გულისაშვილს.

აი რას მოგვითხრობს მამა ზაქარია: თავმა ქირი მალა, ქირმა თავი არ დამალაო“. ეს ანდაზა ზედ უდგება ჩვენს აწინდელ მდგომარეობას სარწმუნოების საქმეში. შესდინხართ ებრაელთა თორაში, გერმანელებისა და ფრანგების ტაძრებში, მაჰმადიანთა მეჩეთში და ყველგან კრძალულებაა, ღვთაებრივი წესიერება. შეიხედეთ ქართველთა, გინდ სომეხთ ეკლესიაში და გულ გასაგმირი სიბრიყვეხულიგანობაა... ყოველ რწმენის მიცვალებულს მოასვენებენ ადამიანური პატივით; ქართველს და სომეხს კი, მეტადრე ავლაბარში, უბედურ უზრდელობით, სიბრიყვით. ყოველ

სარწმუნოების სასულიერო პირს ეპყრობიან პატივით და უზრუნველ-ყოფენ შეურაცხყოფისაგან. ქართველი და სომხის მღვდელი კი ყოველ ნაბიჯზედ ითმენს ლანძღვას, შეურაცხყოფას. ხულიგანობა ამ ორი ტომის ნაძირალებისა აუტანელია, საზარალო და სავალალო... მხატვ ლიბერალიზმმა ლამის უკუნებელ სენს შეგვყაროს.

ყოველ დღიური ამის დასამტკიცებელ ფაქტების ჩამოთვლა ხალხის შეურაცხყოფა იქნება. მაგრამ ყველას დამალვაც მოქალაქობრივ გაბედულობის არ ქონვია. ვისთვის არის ავლაბარში დაფარული ვაება ხულიგანთა ყაიღის მკვდართა დამარხვის დროს? ისინი მოაცოცებენ ცხედარს, სტანჯავენ კუბოს, უწესურ ტრიალით მიცვალებულს. ყველა ერიდება. თვით პოლიციაც იუყუება... სამღვდლოება უბღ-შეკრული ძლიევს მიათრევს ფეხებს. ეკლესიის ეზოში, სადაც მიასვენებენ მიცვალებულს, გაისმის ლანძღვა, უშვერ სიტყვაში ვარჯიში, იმართება კოქაობა, ყოპარი... ეკლესიაში მხოლოდ მანდილოსანნი შედიან. გამოსვლის შემდეგ, ეზო ხშირად სავსეა ხოლმე ნარწყევით. საფლავისაკენ წასვენების დროს ქედებით და პაპირობებით ამოუდგებიან ხოლმე სამღვდლოებას და უხარიანთ სომხებს—რომ „ქართველი ტერტერა გაეაჯავრეთო“, ქართველებს, რომ „სომხის ტერტერაო“... გაიგებენ ჯვარის წერაო, შუალამისას კაცები პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა შემორბიან, ხოლო ქალები იუბკა-კოფტებისა და ხარხარობენ... პარვა სანთლისა, გინება ხატებისა, სამღვდლოებისა ჩვეულებრივი მოვლენაა... ამიტომ 21 ამა აპრილს ჩემზე მოღებული შეურაცხყოფა მოულოდნელი არ იყო ასეთ წრეში. როცა მივასვენებდით ვილაკების მიერ მოკლულ „ძმა ბიქს“ არჩილი ფერაშვილს, ერთმა ნაძირალობა სილა გამართვა თვალში. ამაზე უარესიც იყო შესაძლო ბრიყვთაგან, მაგრამ ეს მე არ დამაბრკოლებს, მე მუდამ მტერი და მებრძოლი ვიქნები, როგორც „ხულიგანობისა“, ისე იმ ბედშაობის, რაიც მოსპობის გზაზე აყენებს ხალხის მოქალაქობრივ ლტოლვილებს და ცხოვრებას.

ამაში თქვენს დახმარებასაც ვთხოვულობთ, არა მარტო მე, არამედ ყოველი შეგნებული მღვდელი ავლაბრისა. ნუ დავივიწყებთ, რომ ავლაბარი უბედური ოსტატია ჩვენი პროვინციისა: ბრიყვობა და სისაძაგლე აქედან გააქვთ უბედურთ ხურჯინებით, ურმებით, ტანისამოსის კონკებით. დიღია თქვენი ინიციატივა ამ პატიოსან ბრძოლაში, იგი შექმნის თვით ხალხის ინიციატივას, ამ დიად იარაღს კეთილისაქენ გზის გაკვლევისას“...

ჩვენ სავსებით თანაუგრძობთ მამა გულისაშვილს; ვიზიარებთ მის მწუხარებას და ზიზღს უცხადებთ იმ ნაძირალებს, რომლებმაც უსამართლობა იხმარეს მაზე, მაგრამ არ შეგვიძლიან არ გამოვთქვათ, რომ აღებულ შენთხვევაში ყველაზე ძეტი დამნაშავე და პასუხის მგებელი თბილისის სამღვდლოებაა. თბილისის სამღვდლოება ცნობილია თავისი უღებობით, ბოლოდაშვებულობით, სამსახურის უგულოდ და გარეგნულად შესრულებით, თბილისის სამღვდლოება არა მწყისის მრევლს გასაგები, წრფელი, მკაყითი, აზრიანი და დროს შესაფერი მოძღვრებით, თბილისის სამღვდლოება არ ავრცელებს მრევლთა შორის ზნეობრივი მინაარსისა და აპლოგეტიური ხასიათის წიგნაკებს, თბილისის ეკლესიებში არსად არ ისმის წირვა-ლოცვის დროს ღმობიერი გალობა ქართულად გაწვრთბილი გუნდისა, თბილისის ეკლესიები ხანდისხან წელიწადში ერთხელაც ვერ ღირსებიან მღვდელთმთავრის წირვა-ქადაგებას და რა გასაკვირველია ყველა ამის შემდეგ, რომ ხალხი ზნეობრივად გაოხრდა და გავეანდა, ხალხმა გული აიყარა თავის სალოცავ ტაძრებზე და შეიძულა ურგები სამღვდლოება.

სულ ტყუილია მამა გულისაშვილის მიმართ „შეგნებულ პირთადმი“. რა ქნან საერო პირებმა, თუ თითონ სამღვდლოება არ დაინახებებს ხალხს თავის თავს პატივისცემის და თანაგრძობის ღირსად? მარტო გარეგნობაა მარტო სხვის ქომაგობა და ძალით დახმარება ვერ მოუპოვებს სამღვდლოებას ერის თანაგრძობას და სიყვარულს. სამღვდლოებას თითონ აქვს შეუღარბელი ფარი და

ხმალი ხალხის გულის შეძენა-დატყვევებისა. ასეთი უებარი ძალაა ის საღმრთო მადლი, რომელიც ყოველ სამღვდლო პირს ეძლევა მღვდლად ხელდასხმის დროს. ეს მადლი უნდა გაიცხოველოს თვითეულმა მღვდელმა, ამ მადლით უნდა გაითბონ გული ქრისტეს მუშაკებმა, ამ მადლით უნდა მონათლონ მათ თავიანთი სიტყვა და ცხოვრება, ეს მადლი მუდამ ჟამს უნდა ჩასძახოდეს ყურში თვითეულ მღვდელს; მკადაგე სიტყვა, ზედადგე ჟამითი და უჟამოდ, ამხილვე, შერისხენ და ნუგეშინის ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“ და მაშინ, მხოლოდ შეიყვარებს ხალხი მღვდლებსაც და ღმერთსაც.

ეს უტყუარობაა, აქ საეკეო და სათუო არა არის რა,ვისაც მღვდლობა სწამსთ, უსათუოდ ამ გზას უნდა დაადგეს, სხვა გზა და სხვა საშუალება მღვდლობის დაღატია. (ამიტომ თბილისის სამღვდლოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ სრულებით არ მოიშორა უსაკმეობისაგან მოკიდებული ობი და ჟანგი, თუ თავი არ დააღწია დღევანდელს თავის უდებობას და ნელთბილობას, თუ ეხლა მანაც არის არ იწყოს თავისი საღმრთო მთვალეობის განხორციელება სრული შეგნებით და ქრისტიანული სიწრფელით, გათავებულია მისი საქმე, წასულია ქართველების ქრისტიანობა, ხვალა და ხვალ ზეით ავლაბრელების ველურობას უფრო მეტი, სიმხეციით და უგუნურობით გაიმეორებენ სიონისა და ანჩახატის უბნელები; ქაშუეთელ-კალოუბნელები, ვერელებ-დიღუბელები და სხვები. ამის წინდაწინ მიხვედრას დიდი ხაზი და ღარი არა სკირდება.

მაშ, გამოფხიზლდით, თვალეები მოიფშენიტეთ, გაიმსქვალეთ თქვენი დიადი მოვალეობის შეგნებით, თბილისელო მამებო, სანამ ჯერ კიდევ მთლათ დაგვიანებული არ არიხთორემ ხალხიც და ღმერთიც საბოლოოთ უარს გყოფთ და გახდებით ყველსაგან ფეხით სასრეს უვარგის მარლიად.

სამღვდლოების ერთგული.



ალლა-მერდი-იაკობი-ოლ.

რა მიზეზის გამო და რა დროიდგან არის შემოღებული ჩვენში ღვინის სმის დროს ამ სიტყვებით ერთი მეორისადმი მისალმება? აი ძველებური თქმულება ამის შესახებ.

იმ დროს, როდესაც კახეთს ჯერ კიდევ საკუთარი მეფეები ყავდა, მიწის ძერის გამო

დაინგრა წმიდა გიორგის სახელობაზე აგებული მონასტერი (თელავის მახლობლათ), რაც მაშინდელი ქართველების რწმენით მოასწავებდა მომავალ უბედურებას კახეთისას. შახ-აბასის შემოსევის მონასტრის დანგრევის დროს გადარჩენილა. მხოლოდ ერთი მორჩილი, ახალგაზდა დოდო, რომელსაც დანგრეული სავანის მიდამოები არ მიუტოვებია და იქვე უწყია ცხოვრება.

ხალხში გავრცელდა ურთიერთ შორის უსიამოვნება და განხეთქილება. დოდო გამოდიოდა ხან და ხან ამცნებდა ხალხს ქეშმარიტ სიტყვას და ამხილებდა მათ, რისთვისაც სდევნიდნ მას. აღსრულდა ხალხის რწმენა კახეთს მოევილინა დიდი უბედურება. შახ-აბასი შემოესია საქართველოს ურიცხვი ჯარით. დაანგრია რამდენიმე ქალაქი საქართველოსი და დაშკვიდრდა მცხეთაში.

ქართლის მეფემ მოიკითხა შახ-აბასი და გაგზავნა მასთან ერთი თავდათავანი, რომელმაც სხვათა შორის მიართვა შახ-აბასს კალათით ხილეულობა. შახ-აბასმა ამოიღო ერთი ვაშლი კალათიდგან შესქამა და კაკლები (თესლი) ვაშლისა ხელის გულზე დაიგროვა მოითხოვა შუბი, ამოთხარა მითი მიწა, ჩაყარა შიდ თესლი, გადაასწორა ფეხით და უთხრა მოციქულს, წადი და მოახსენე შენს მეფეს, რომ მე არ გაეალ საქართველოდგან იმ დრომდის, სანამ არ ვსქამ ამ თესლიდგან ამოსულ ხის ნაყოფს. ბევრი სხვა დამცირება და დაცინვაც განიცადა მოციქულმა სპარსელების ბანაკში. გამოვიდა რა მათი ბანაკიდგან მშვიდობით, გადასწყვიტა, რომ სამაგიერო გადაეხადნა მტრისთვის და საქართველოდგან გაედევნა იგი, თუნდაც ამ საქმისთვის დასკირეებოდა მას თვის საყვარელ ცოლის

ხოროშანის მსხვერპლად შეწირვა. სახელი ამ თავადისა იყო შიო; ცოლი მისი ხოროშანი იყო ძლიერ ლამაზი და ეშხიანი ქალი.

დამკვიდრდა თუ არა კახეთში, შახ-აბასმა გამოცხადდა ორი ბრძანება: პირველი, უნდა მოეკრიფნათ საუკეთესო ახალგაზდები ორივე სქესისა და გაეგზავნათ სპარსეთში, იქაური ხალხის მოდგმის გასაუმჯობესებლათ. მეორე, ყოველ ახალ მთავარზე უნდა მიეყვანათ მისთვის 50 ახალგაზდა ლამაზი ქალი, რომლებსაც იგი ურიგებდა ჯილდოთ, იმ სარდლებს, რომლებიც ისახელებდნენ ხოლომე თავს ომის დროს.

სხვათა შორის შახ-აბასის ჯარის უფროსებში იყო ერთი ხანი სახელიად ალლა-ვერდი, ცხენოსანთა ჯარის მეთაური, კაცი ძლიერ ღონიერი და გავლენიანი. იგი არ უყურებდა შახის დარიგებულ ჯილდოს—თვითონაც ჰკრეფდა ამდაგვარ გადასახადს.

შიომ გადასწყვიტა სწორეთ ამ ხანისთვის შეეჩინა თავის ცოლი და რამე ნაირათ იგი, ხანი, ქართველების მხარეზედ გადმოეყვანა.

ქართლის მეფე იყო გამაგრებული თავის მცირე ჯარით იმ ადგილს, სადაც მდინარე არაგვი ერთვის მტკვარს. ამ შევიწროებულ მდგომარეობის დროს აღამაღლა ხმა სამღვდლოებამ, დაგზავნა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მქადაგებლები, რომლებიც უქადაგებდნენ ხალხს, რომ ურთიერთ შორის განხეთქილებისათვის თავი დაენებებიათ და სამშობლო მტრის ხელიდან გამოეხსნათ. სამღვდლოების ქადაგებას ფუქათ არ ჩაუვლია. მოისპო ხალხში განხეთქილება და მოკლე დროში მოგროვდა მეფესთან დიდ-ძალი ჯარი. ამას გარდა ქართველებმა მიმართეს იმერლებს და რუსებს. შათაც მიაშველეს ჯარი.

შიო კი ამ დროს სხვა ნაირათ მუშაობდა. როდესაც იგი მოვიდა შინ მტრის ბანაკიდან დაბრუნებული, თავის გადაწყვეტილება და მოსაზრებანი გაუზიარა ძვირფას მეუღლეს და სთხოვა ამ საქმეში დახმარებოდა, ე. ი. ხოროშანს უნდა ეკისრნა დიდი დავალება, შესჩენოდა ხანს ალლავერდს და რამე ნაირათ გადმოეყვანა ქართველები მხარეზე. ხოროშანი დიდი ყოყმანის შემდეგ დღისთანხმად კმრის თხოვნა-

ზე შიო გამოეწყო უბრალო, გლეხის ტანთ-საცმელში, წაიყვანა ცოლი სპარსელების ბანაკში და გამოცხადდა ალლა-ვერდის კარავთან.

ნახვისათანავე ხოროშანის სილამაზემ და ეშხმა მოხიბლა ხანი-ალლა-ვერდი. იგი მზათ არის ყველაფერი ხოროშანის მოთხოვნილება შეასრულოს, ოღონდ დასტკბეს მასთან სიყვარულით. ნაცვლად სიყვარულობისა ხოროშანი მოითხოვს მისგან შახ-აბასის ღალატს და ქართველების მხარეზედ გადასვლას, რაზედაც ხანი ალლა-ვერდი თანხმდება.

როდესაც ხანი ალლა-ვერდი სტკბება მასთან ალერსით და სიყვარულით, ამ დროს მოუღის მას ბრძანება შახ-აბასისაგან, რომ იგი მოკლე ხანში შეუერთდეს შახის უმთავრეს ჯარს ქართველებთან საომრათ, ვინაიდან ეს უკანასკნელნი იმერლების და კახელების დახმარებით აპირებდნენ სპარსელე-ბზე გალაშქრებას. გაიგებს თუ არა ამ ამბავს ხანი ალლა-ვერდი, გასცემს ბრძანებას თავის ჯარში, რომ სამი დღის განმავლობაში იგი უნდა შეუერთდეს შახის უმთავრეს ჯარს.

ხოროშანი მოაჯონებს ხანს ფიცს, მაგრამ ყოველმა მისმა შრომამ და ცდამ (რომ ხელი შეეშალა ალლა-ვერდისათვის შახის ბრძანების ასრულებაში) ფუქათ ჩაიარა. დარწმუნდა რა ხოროშანი, რომ იგი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ხანზედ სიტყვით, გადასწყვიტა მისი მოკვლა ძილის დროს. გადაწყვეტილების შესრულებამდის ხოროშანი ძილში ნახავს მოჩვენებას, გამოეცხადება მას მოხუცი ვინმე თმიან-წვერიანათ გათეთრებული, ძველი მეუღლბნოეს საცმელით, წყნარი და გაბრწყინებული სახით. მოხუცი ხელეზ აპყრობილი ლოცავს ხოროშანს. „უღირსი ვარ, მამაო, შესძახა ხოროშანმა, უღირსი შენი ლოცვა-კურთხევისა, ვინაიდან შეურაცხ-გყავ სატყე-ცილი ჩემი უსჯულოსთან და ხელნი ჩემნი წარგმართე მოლაღატის მოსაკლავათ. მოხუცი ამცნებს: გადასდე განზრახვა შენი, საუკეთესოვ ივერიის ქალთაგან! ნუ აიღებ ხელთა შენთა ალლა-ვერდის მოსაკლავად, ვინაიდან იგი მოწოდებულია უფრო დიდი საქმი-

სთვის: მისი სიცოცხლე დაასრულებს ჩვენი სამშობლოს ხსნას და აღსრულება მისი კი აღადგენს იმ საფანეს, რომლის ნანგრევებს ამდენი წელიწადია თავზე დაესტირი, შენს მძიმე ცოდვას კი განსწმენდს წმიდა ეკლესია და ხანგრძლივი მონაზნური მოღვაწეობა. ხვალ აუწყე ხანს, რომ გსურს ჰამა საკუთარი მისი ნანადირევისა. მოხუცმა კიდევ დალოცა მუხლ მოყრილი ხოროშანი და იქნა უხილავი. მეორე დღეს მისი სურვილის ასასრულებლათ ხანი მიდის სანადიროთ იმ ტყეში, სადაც ცხოვრობდა დოდო. აოლავერდი მოუტოვებს შაჰარდენს კაკებს, რის შემდეგაც მას ცალი ხელი გაუშეშდება. შეხვდება მოხუცებულს დოდოს და ეფერება: მომიტევე შეცოდებანი ჩემნი და, თუ დამიბრუნებ ჩემს ხელს (მომირჩენ ხელს), შეგფიცავ, რომ ვემსახურო მით საქრისტიანოს.

დოდოს ლოცვა-კურთხევა ხანს, ალავერდს დაუბრუნებს ხელის სიმრთელეს და პირველი სხივი სარწმუნოების უკვე გამსჭვალავს მის გულს. იმავე დღეს შიო და მეთუღანო დოდო საუბრობდენ ალაზნის უდაბურ ნაპირას. დიდხანს გაგრძელდა მათი წყნარი და გულწრფელი საუბარი. ბოლოს მოხუცი ადგა და სთქვა: წადი მშვიდობით, ჩემო შვილო, მეტს ნულა ექვობ! ექვი ძვირად იხსნის კაცს, უფრო ხშირად ღუპავს დაიჭიარე და დამემდე მიფე, რომ ჩვენსკენ იქნება; მოვა ის იმ დროს, როდესაც ომის ბედი გადასწყვეტს ზოგისთვის დიდებას და ზოგისთვის კი—მწარე სირცხვილს. გაეშურე საუკეთესო შვილო, ივერიისა საშინელი დღე ახლოვდება, მიუტანე ჩემი ლოცვა-კურთხევა ჩვენებს და მართლმადიდებელ ჩვენს ძმებს—რუსებს.“ კურთხეულ იყოს მათი სახელი და აკურთხებს მათ ღმერთი დიდებული მომავალით და იყოს ეს ქვეყანა ჩვენი ასული მათი ქვეყნისა და მოიდრიკონ მათ წინ მთანი და ურჩნი დაემორჩილონ მათ.

დაიწება სამკვდრო სასიცოცხლო ომი. გადამწყვეტ წუთებში ალლავერდი ქართველების მაგივრათ შეუტრევს სპარსელების ჯარს, რომელიც ძლიერ დამარცხებული უკუ იქცევა.

დიდ-სულოვანი თავადი შიო იპოვეს მკვდარი ჯარის სულ წინა წყობაში. მას თავს დასტროდა ახალგაზდა მეომარი, თათრულ საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი. ეს იყო ხოროშანი. შუბით ხელში და ჯავშნით მხარზე მას მიყავდა ხანი და ამხნევებდა მას გაუბეღლობის წუთებში. პირველებთან ერთად შეებრძალა იგი მტერს და ეძებდა თავის ქმარს შიოს, რომ მასთან გვერდი-გვერდ ეომნა; მაგრამ იპოვა მარტო მისი სხეული. „პატიოსნათ აასრულე შენ შენი სიტყვა—გუბნებოდი იგი ტირილით; მეც ავასრულე შენს ანდერძს: ვიცხოვრებ ზეცისთვის და მთელ ჩემ სიცოცხლეს გაფატარებ მხურვალე ლოცვაში“. ხანი ალლავერდი მიიღებს სასიკვდილე კრილობას, როგორც ფიქრობენ, თვით შახაბასისაგან და იცოცხლებს კიდევ რამდენიმე დღეს, მოინათლება და ვარდაიცვლება ორა მარტო ქრისტიანათ არამედ ხოროშანის მეორე ქმართ. ორივეს სურვილისამებრ ეკლესიამ აკურთხა მათი კავშირი. ხოროშანმა რამოდენიმე ხანს ილოვა ორივეს საფლავზედ, შემდეგ განშორდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და შეუღდა ხანგრძლივ მონაზნურ მოღვაწეობას.

ხანმა ალლავერდმა თავისაუარებელი საუნჯე შესწირა ივერიის მფარველის წმ. გიორგის ტაძრის ნანგრევების აღსადგენათ. ტაძარი იგი განაახლეს წინანდელი დიდებით, მონასტრის განახლება იდღესასწაულეს შემოდგოზედ, რთველის გათავების შემდეგ. თითქმის მთელი ქართლის და კახეთის მცხოვრებნი მოგროვდენ ამ დღეობაზე. თითუღმა მათგანმა ჩვეულებისამებრ მოიტანეს ცალი ღვინო (მაქარი) და თითო ცხვარი. წირვის გამოსვლის შემდეგ დიდ მანძილზედ ტაძრის ირგვლივ დასხდნენ მლოცვეოები სადილის საქმელათ. გაჩაღდა მრავალ ადგილს ცეცხლი და ზედ მწვადების შხივილ-შხივილი, ამასთანავე დაუბრეს ღვინის სმა აზარფაშებით. ქართველებს ჩვეულებისამებრ აზარფაშებით ღვინის სმა უნდა დაეწყოთ რომელიმე წმიდანის მოხსენებით, უპირატეს-წმ. გიორგისა. შემდეგ კი წინაპართ, მფარველთ, კეთილის მყოფელთ, კეთილის მსურველთ, როგორც ცოცხლების, ისე

მკვდრებისა. როდესაც პირველი აზარტაშა  
 ლალიეს ივერიის მფარველის წმ. გიორგის  
 მოხსენებით, გამოვიდა მოხუცი დოდო, უკვე  
 მოხრილი ხანგრძლივი სულაერი მოღვაწეო-  
 ბით, მოწმე ამ ტაძრის დანგრევის და აღდგე-  
 ნისა, შემოუარა მთელ ბანაკს მლოცველები-  
 სას და მოუწოდა ხალხს, რომ მოეხსენებო-  
 ს ალლა-ვერდი-დამასრულებელი ქართველები  
 მტერზე გამარჯვებისა ტაძრის აღმადგენე-  
 ლისა. და აი მეორე აზარტაშით მთელ ბანაკ-  
 ში გაისმა— ალლავერდის მოხსენება,  
 ახლად მოქცეულმა ქრისტიანობაზე თათრე მ-  
 ხანის თანამოღვაწეებმა, გამოსცეს ხმა „იაქში  
 ოლ-(თანხმობის ტკმაყოფილების გამოცხადება).  
 ამის შემდეგ ქართველებმა ეს ამბავი გაიტანეს  
 სხვადასხვა კუთხეში და ყოველგან შეიქნა  
 აზარტაშებით ღვინის სმის დროს მისალმება:  
 ალლა-ვერდი! იაქში-ოლ! იმ დღის შემ-  
 დგ იმ ადგილსაც დაერქვა ალავერდი.

Новое слово за 1910 г.

ღია წერტილი ეპისკოპოსის დაკითხვადმი.

მოწყალეო მღვდელმთავარო,  
 მეუფეო დავით!

მთავრათავე შეიძობრები კანდიერებით და  
 სიმდაბლით გევედრებით—ნუ დაგვამადლით შრომას  
 და განგვიმარტეთ: რომელი დებულების დასამტკი-  
 ცებლად დაგჭირდათ „შინაური საქმეების“ მეათე  
 ნომერში დასტამბულ თქვენს წერილში მთავრებუ-  
 ლი შემდეგი მაგალითი: „სიმონ, წაუკითხე ივანეს  
 წიგნი!“. აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფაღსა“  
 ხომ არ გსურთ გააბათილოთ ამ თქვენი მაგალითით?  
 მიგანდობ რა თავსა ჩემს მღვდელმთავრულთა  
 სადმრთოთა ღონისძიებათა თქვენთა, ვგაებ თქვენი  
 მუუფების მორჩილი სუღაერა ძე დიმიტრას მამი-  
 დაშვილი.

14 აპრილს 1910 წ.

დიმიტრას მამიდაშვილი

კვირიდან კვირობამდე.

თბილისში კრება ჰქონდათ საექსარხოოს  
 ეპარქიების სკოლების მეთვალყურეებს. განი-  
 ხილეს ზოგიერთი საკითხები, რომლებიც სა-  
 ბოლოოდ გადაწყდება პეტერბურგში ოლქის  
 მეთვალყურეთა კრებაზე, რომელიც მაისის  
 პირველ რიცხვებში დაიწყება. ბაქოს ეპისკო-  
 პოზი გრიგოლი უკვე გაემგზავრა პეტერბურგ-  
 ში.

თბილისში მალე მოქმედებას დაიწყებს  
 განახლებული ძმობა ყოველად წმიდა ღვთის-  
 მშობლისა, რომელიც დაარსებული იყო სიო-  
 ნის ტაძართან 1885 წელში.

სამეგრელოს ერთ სამრევლოს სინოდის  
 კონტორისთვის უთხოვნია დრამისგან განგვა-  
 თავისუფლეთო. სინოდის კონტორა ამის თა-  
 ობაზე ყოველდღისამღვდლო ლეონიდეს შე-  
 კითხვითა, რომელსაც შემდეგი პასუხი გაუცია.

„მთხოვნელები სრულიად მართალინი  
 არიან, რომ დრამას დიდი ვნება მოაქვს. უმე-  
 ტესი ნაწილი შეტაკებისა და საჩივრებისა  
 მღვდელსა და მრევლს შორის სწარმოებს  
 დრამის მოთხოვნის ნიადაგზე. მაგრამ ამ მოვ-  
 ლენას ადგილი აქვს მთელ ეპარქიაში და არა  
 ერთსა და ორ სამრევლოში, ან ეპარქიის  
 ერთ რომელიმე ნაწილში. ამ საკითხის კერ-  
 ძობითი გადაწყვეტა უფრო გააფუჭებს საქ-  
 მეს, ვიდრე გააკეთებს. დრამა ყოველ ადგილ-  
 ზე უნდა მოიხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში  
 ხალხი არასოდეს თავს არ დაანებებს სამღვდე-  
 ლოებისადმი მტერობას და სამღვდლოება  
 ვერასფერი ღონისძიებით ვერ დაუახლოვდება  
 სამწყსოს. მაგრამ დრამა ერთი უმთავრესი  
 სახსართავანია სოფლის სამღვდლოებისა და  
 თუ ეს სამღვდლოება რომელიმე გზით უზ-  
 რუნველყოფილი არ შეიქნა, ისე არა სისურ-  
 ველ დრამის მოსპობა, სადაც უნდა იყოს,  
 ყოველად შეუძლებელი საქმეა.

23 აპრილს მისმა მეუღებამ ყოვლისამღვდლო ლეონიდემ ტაძრის ღვთისმშობლის შებენიანად წირვა და პარაკლისი გადაიხადა სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვის შემდეგ მისმა მეუღებამ სარწმუნოებით აღსავსე, გულმხურვალე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომელშიდაც ვანუშარტა დღის მნიშვნელობა, აუწერა წმ. გიორგის ცხოვრება და ნათლად დაანახა, თუ როგორ უნდა ვაფასებდეთ სარწმუნოებას, როგორ უნდა თავს ვსდებდეთ მისთვის. ამასთანავე მისმა მეუღებამ მოიგონა ახლო წარსული, როცა ჩვენ სრულიად უმნიშვნელოდ და ყოველ საქმეებს გარეშე, მხოლოდ წამხედურობით, ხათრით და უაღაგო მორიდებით უარყავით ქრისტე და წმინდანები, რომელთა სახელს ვადიდებთ დღეს“.

ხალხი დიდი ნასიამოვნები დარჩა. მისი მეუღების მოძღვრებით. მის მეუღეებს განძრახვა აქვს, სადაც კი ხელი მიუწვდება, ყველგან დაესწროს ადგილობრივ ღვთისმშობლებს და შესაფერი საუბარი გამართოს ხალხთან. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთი მოქმედება ერთი საუკეთესო საშუალებაა განმანათლებლობის აღდგენისა და განმტკიცებისა ხალხში. ამასთანავე მისი მიუთება შეძლებისა და გვარად ზნეობრივ სარწმუნოებრივ წიგნაკებსაც ავრცელებს და სამღვდლოებას ურჩევს თვითგანვითარებას მისდინოს და ხალხსაც ხშირად უკითხოს სარწმუნოებისა და ზნეობის ამამდლებელი წიგნები და ხელი შეუწყოს მათ გავრცელებას ხალხში.

24 აპრილს გელათის მონასტერში დააკავეს გელათის მონასტრის ორი მღვდელ-მონაზონთაგანი მ. მ. ილარიონი და დოდო. ამობენ, ეს გამოიწვია იმავ მონასტრის ბერის და მასთან შეხვედრით ერთ ერის კაცის საჩივარით. რა ბრალი ედებათ ილარიონსა და დოდოს, ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ მათი შესვლით მონასტერმა ბევრი სიკეთე შეიმატა. დაარსდა სანთლის ქარხანა და გაშენდა რამოდენიმე ქვევა ვენახი. ამათი დაპატიმრებით სანთლის ქარხანას საქირო ხელი მოაკლდა

და, თუ ეს დაპატიმრება ვაგრძელებდა, მგონი სულ დიხუროს, რითაც მონასტერს ორი ათასი მანეთის წლიური შემოსავალი მოაკლდება. სამწუხაროა, სხვა რომ არა იყოს რა, ასეთი არეულობა და ცილის წამება მონასტრის ძმათა შორის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მართლმსაჯულება აღადგენს სიმართლეს და დასჯის ნამდვილ დამნაშავეს.

იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელმა ძმობამ გამოსცა საღვთისმშობლისმადლობა წიგნაკი „ქრისტე აღსდგა!“ ხალხში უფასოდ დასარიგებლად. წიგნაკის შინაარსი მიმართულია იმ სწავლულთა წინააღმდეგ რომელიც უარს ყოფენ ქრისტეს აღდგომის სინამდვილეს. სასურველია რომ ასეთი შინაარსის წიგნაკები ხშირად რიგდებოდეს ხალხში და მოსწავლე ახალგაზღვრებაში. მაგრამ ეს რომ საშვალეა და მოკიდებული და საშვალეა კი ძმობის წყევლების რაოდენობაზე და მათ სიუხვეზე? ვიქონიოთ იმედი, რომ სამღვდლოება ბოლოს ყურადღებას მიაქცევს თავის მოვალეობას.

წიგნაკი რამოდენიმე ცასი აღი ქუთაისის საკათედრო სობორში დარიგდა, რის მაგიერ სობორში სამი მანეთი გადასცა შინაური საქმეების რედაქციას სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობის სასარგებლოდ.

**ОБЪЯВЛЕНИЕ.**

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНОПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ  
**А. И. ЖИРЯКОВА**  
Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣнную живопись всякой художественной работы по весьма умереннымъ цѣнамъ.  
Имѣются одобрителныя отзывы отъ преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей монастырей и соборовъ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა  
Типографія Кутаискаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлискаго, докъ Киришева